პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2019 წელი

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011701713568318

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 486456

26 / ნოემბერი / 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 19 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M18022656 განცხადებით მომართა მოქალაქე მიხეილ იაკობიძემ (პ/ნ:01019080972) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, სოფელი გლდანი (საკადასტრო კოდით N 72.13.38.147).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N72.13.38.147) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე


X=486901 Y=4623758
სოლომონ ჩოლოყაშვილის ქ.
X=487836 Y=462325

ბილის ნომერი: **03-031902527**
თარიღი: **25/01/2019**
ძინი: 3738

ადრესატი: ქალაქ თ
მისამართი: შარტავ

document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახ
ბატონ ალექსან

ბ. ... ...ლდებისა და სიმბოლიკის კ...
...ული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო
...ოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის
... საქმე #04-03183312-03 დაკავშირებით, რომლითაც მ...
...ის N M18022656 განცხადების საფუძველზე ითხოვს ...
...ელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.72.13.38.147).
...ორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმ...
...ლვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ...
...ტიკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...
...ის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტ...
...ისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ...
...ეთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამ...
...ებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი
... კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორ...
...ებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტ...
... შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრ...
... ის მიმდებარედ სახელდებული ქუ...
...ვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო ...
... მომზადებული ნახაზის შესაბამისად (...

...ალოშვილი

...ბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
...ლებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
...ადმარე

გამოყენებულია კვალიფიც...
ელექტრონული ხელმ...
ელექტრონ...

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01190433920**
თარიღი: **12/02/2019**
პინი: **8558**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 25.01.2019 წლის #03-031902527 (21.01.2019წ. #14-01190251852-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სოლომონ ჩოლოყაშვილი

(1883-1944)

მეღვინე, მეწარმე, პროფესორი.

დაიბადა 1883 წელს, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ კი თბილისის გიმნაზიაში მიაბარეს. სოლომონმა სწავლა ყირიმში, ნიკიტინის მებაღეობა–მევენახეობის სასწავლებელში განაგრძო. 1904 წელს, რევოლუციური მოღვაწეობისათვის სასწავლებლიდან გარიცხეს, რის შედეგადაც სწავლა ავსტრიაში, ვენის მახლობლად მდებარე კლოსტერნოიბურგის მევენახეობის, მეხილეობისა და დეკორატიული მებაღეობის უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელა. 1907 წელს წარჩინებით დაამთავრა მევენახეობა–მეღვინეობის განყოფილება და იმავე სასწავლებელში სამეცნიერო–პრაქტიკული სამუშაოთი დაკავდა.

1908 წელს სოლომონ ჩოლოყაშვილი საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო სასოფლო–სამეურნეო საქმიანობაში. მისი თაოსნობით, კასპის რაიონში, სოფელ აღაიანში ვაზის სანერგე მეურნეობა შეიქმნა. 1912 წელს გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი – „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია მევენახეებს.

1919–1923 წლებში, უმაღლეს სასოფლო–სამეურნეო კურსებზე მევენახეობის სწავლებას ხელმძღვანელობდა. 1920 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტებზე მევენახეობის საგანში ლექციებს კითხულობდა. 1923 წელს „მევენახეობის სახელმძღვანელო“ გამოსცა. 1923 წელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭომ ბატონი სოლომონი დოცენრად აირჩია, 1926 წელს კი პროფესორის წოდება მიენიჭა.

1925 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი წელიწადნახევრიანი სამეცნიერო მივლინებით საზღვარგარეთ გაგზავნეს. მუშაობდა გერმანიაში, გაიზენჰაიმში და საფრანგეთში, მონპელიეს უნივერსიტეტში.

სამშობლოში დაბრუნებულმა მეცნიერმა მევენახეობა–მეღვინეობის საკავშირო სამევნიერო–კვლევითი ინსტიტუტის დაარსებისათვის დაიწყო ზრუნვა. 1931 წელს დაარსებული კვლევითი ინსტიტუტი წარმართავდა სამეცნიერო მუშაობას საბჭოთა კავშირის მევენახეობა–მეღვინეობის ყველა რესპუბლიკაში.

1935 წლიდან, კვლევითი ინსტიტუტი დატოვა და მთელი დრო და ენერგია სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრას მოახმარა, რომელიც მისი დაარსებული იყო. კათედრას 24 წლის განმავლობაში ხელმძღვანელიბდა.

სოლომონ ჩოლოყაშვილი 1944 წელს გარდაიცვალა.